

## ვიქტორ დოლიძე

ქართული კომიკური ოპერის ფუძემდებელი, კომპოზიტორი ვიქტორ ისიდორეს ძე დოლიძე დაიბადა ქალაქ ოზურგეთში 1890 წელს. მომავალი კომპოზიტორის მამა მართალია კარგად მღეროდა და გარმონზე უკრავდა, მაგრამ ყურადღება არასოდეს მიუქცევია თავისი ვაჟის მუსიკალური ნიჭისთვის. რალა თქმა უნდა, არც მის მუსიკალურ განათლებაზე უზრუნია. მუსიკით გატაცებულს მშობლები ბანკის მოხელის კარიერას უმზადებდნენ, მან კი მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე თავის უპირველეს არჩევანს – მუსიკას მიუძღვნა.

1902 წელს დოლიძეების ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. აქ ვიქტორი კომერციულსასწავლებელში შეიყვანეს. პარალელურად მანდოლინაზე დაკვრას სწავლობდა და მოკლე ხანში ისე დაეუფლა ამ საკრავს, რომ სასწავლებლის მოწაფეებისგან შეადგინა მანდოლინისა და გიტარის თვითმოქმედი წრე, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. 1910 წელს თბილისში გამართულ მანდოლინაზე დამკვრელთა კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა.

ვიქტორ დოლიძემ ცხოვრების დიდი ნაწილი სიღარიბესა და გაჭირვებაში გაატარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ძალიან მხიარული და ხალისიანი იყო. ამასთან, არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა ჰქონდა.

1917 წელს დაამთავრა კიევის კომერციული ინსტიტუტი. პარალელურად მეცადინეობდა მუსიკალურ სასწავლებელში ვიოლინოსა და კომპოზიციის კლასებში. აქვე მოისმინა მუსიკალური თეორიის დისციპლინების კურსი. საქართველოში დაბრუნებულს კომერციულ საქმიანობაზე აღარც უფიქრია...

ვიქტორ დოლიძის სამუსიკო კარიერა რომანსებით დაიწყო. დღესაც კი პოპულარულია მისი 20-ზე მეტი რომანსი, შემდეგ კი ოპერებსაც შეეჭიდა. ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში შექმნა ოთხი ოპერა: „ქეთო და კოტე“ (აქესენტი ცაგარელის „ხანუმას“ მიხედვით, დაიდგა 1919 წელს), „ცისანა“ (სეზმან ერთაწმინდელის სიუჟეტზე, დაიდგა 1929 წელს), „ლეილა“ და „ზამირა“, რომლის დასრულებაც კომპოზიტორმა ვეღარ მოასწრო.

გარდა რომანსებისა და ოპერებისა, კომპოზიტორმა შექმნა სიმფონიური ნაწარმოები „აზერბაიჯანი“, სიმფონიური ფანტაზია „ივერიადა“, საფორტეპიანო კონცერტი, საორკესტრო ცეკვები და სხვა.

ვიქტორ დოლიძეს განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ოპერა „ქეთო და კოტე“, რომელმაც იმავე 1919 პირველად დადგმულ დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერთან“ ერთად ტრიუმფით დააგვირგვინა ქართული კლასიკური ოპერის დაფუძნების პროცესი.

სხვადასხვა დროს „ქეთო და კოტე“ იდგმებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის არაერთი საოპერო თეატრის სცენაზე. აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში. ოპერის წარმატება განაპირობა კომედიურმა სიუჟეტმა, ადვილად დასამახსოვრებელმა, მელოდიურმა მუსიკამ.

კომპოზიტორი თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებდა ძველი თბილისის ქალაქური ფოლკლორის ინტონაციებსა და ყოფით მუსიკალურ ფორმებს. მისი ოპერის მიხედვით გადაღებულია კინოფილმი „ქეთო და კოტე“ (რეჟისორები შალვა გედევანიშვილი და ვახტანგ ტაბლიაშვილი, 1948 წ.).

ვიქტორ დოლიძე გარდაიცვალა 1933 წელს. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. თბილისსა და ოზურგეთში არის კომპოზიტორის სახელობის ქუჩები.

## ვიქტორ დოლიძის საარქივო ფონდი

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ვიქტორ დოლიძის მიმართვა ოპერის თეატრის ხელმძღვანელობისადმი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ჰონორარის აღებასთან დაკავშირებით.  
1920 წ. 22 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
2. ვ. დოლიძის განცხადება ოპერის თეატრის ხელმძღვანელობისადმი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ჰონორარის მიღებასთან დაკავშირებით.  
1921 წ. 17 მაისი. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
3. სათეატრო სექციის გამგის ოფიციალური მიმართვა ოპერის გამგისადმი ვ. დოლიძის ოპერა „ლეილას“ ოპერის თეატრში დადგმასთან დაკავშირებით.  
1921 წ. 23 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. 1 გვ.
4. ვ. დოლიძის მიმართვა დავით ვლადიმერის ძისადმი (გვარი მითითებული არ არის) ოპერა „ლეილას“ შეფერხებით დადგმის შესახებ.  
1922 წ. 1 თებერვალი. ავტოგრაფი (ალექსანდრე ახმეტელის რეზოლუციით). შავი და წითელი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
5. სახელმწიფო საოპერო თეატრის მიერ გაცემული ცნობა ვ. დოლიძისადმი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ჰონორარის შესახებ.  
1922 წ. 5 აპრილი. ნაბეჭდი. 1 გვ.
6. ვ. დოლიძის განცხადება მთავარი სამხატვრო კომიტეტისა და განათლების სახალხო კომისრისადმი, საავტორო ჰონორარის სიმცირის გამო, მისი ოპერის დადგმასთან დაკავშირებით.  
1922 წ. 4 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
7. ვ. დოლიძის მიუღებული ჰონორარების საგადასახადო უწყება.  
1922 წ. 13 დეკემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 5 გვ.
8. ვ. დოლიძის განცხადება მთავარი სახელოვნო კომიტეტისადმი, მისთვის განკუთვნილი საავტორო ჰონორარის არასწორი განაწილების შესახებ.  
1922 წ. 29 დეკემბერი. ავტოგრაფი. წითელი მელანი. 1 გვ.

9. ამონაწერი მთავარი სახელოვნო კომიტეტის სხდომის ოქმიდან, ვ. დოლიძისადმი ჰონორარის გაცემასთან დაკავშირებით (ხელს აწერს შ. აფხაიძე).  
1922 წ. 30 დეკემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
10. სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვა აკადემიური თეატრების მთავარმართველობის გამგისადმი, ვ. დოლიძის განცხადების შესახებ  
1923 წ. 3 იანვარი. შტამპი. ნაბეჭდი. 1 გვ.
11. ვ. დოლიძის განცხადება სახელმწიფო თეატრების სამმართველოსადმი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ჰონორართან დაკავშირებით.  
1923 წ. 30 იანვარი. ბლანკი. ავტოგრაფი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. შავი და წითელი მელანი. 2 გვ.
12. ვ. დოლიძის განცხადება ოპერის სახელმწიფო თეატრისადმი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ჰონორარის მიღებასთან დაკავშირებით.  
1923 წ. 5 თებერვალი. ავტოგრაფი. წითელი და შავი მელანი. 2 გვ.
13. ვ. დოლიძის განცხადება საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისრისადმი, მუსიკალური ცოდნის ამაღლების მიზნით, ევროპაში გაგზავნის შესახებ.  
1923 წ. 11 თებერვალი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.
14. ვ. დოლიძის განცხადება საოპერო თეატრის ადმინისტრაციისადმი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ჰონორართან დაკავშირებით.  
1923 წ. 5 მარტი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.
15. აკადემიური თეატრების მმართველის მიმართვა ჯანმრთელობის კომისარიატისადმი, ვ. დოლიძისათვის წალვერში ერთი ოთახის დათმობის შესახებ.  
1923 წ. 2 მაისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.
16. ვ. დოლიძის განცხადება სახ. თეატრების მმართველობისადმი, მისთვის ოპერა „ცისანას“ სანოტო მასალის დაბრუნებასთან დაკავშირებით.  
1923 წ. 25 მაისი. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. წითელი და შავი მელანი. 1 გვ.
17. აკადემიური თეატრების მმართველის მიმართვა სახალხო განათლების კომისრისადმი, ვიქტორ დოლიძისთვის ოპერა „ცისანას“ ნოტების გაცემაზე უარის შესახებ.  
1923 წ. 29 მაისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.
18. სახალხო განათლების კომისარიატის მიმართვა თეატრების სამმართველოსადმი, ვ. დოლიძისათვის ოპერა „ცისანას“ ნოტების გაცემაზე უარის შესახებ.  
1923 წ. 1 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

19. აკადემიური თეატრების მმართველობის მიმართვა ვ. დოლიძისადმი, მისი მოთხოვნის (ოპერა „ცისანას“ ბათუმსა და ბაქოში დადგმის) დაუკმაყოფილებლობის შესახებ.  
1923 წ. 2 ივნისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.
20. საქართველოს სსრ საქმეთა მმართველის მიმართვა სსსრ სახალხო კომისარიატისადმი, ვ. დოლიძის საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებასთან დაკავშირებით.  
1923 წ. 23 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
21. მთავარი სახელოვნო კომიტეტის განყოფილების გამგის მიმართვა მუშათა პროფკავშირის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგის რუხაძისადმი, ვ. დოლიძისთვის სიმფონიური ორკესტრის ერთი დღით დათმობის შესახებ.  
1923 წ. 28 აგვისტო. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.
22. ოპერის სახელმწიფო თეატრის ადმინისტრატორისა და ბუღალტრის ცნობა ვ. დოლიძისადმი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ჰონორართან დაკავშირებით.  
1926 წ. 24 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
23. აკადემიური თეატრების ხელმძღვანელის ალ. ნუნუნავას ბრძანება და კომისიის წევრთა სია ვ. დოლიძის ოპერა „ცისანას“ გასინჯვაზე დასწრების შესახებ.  
პირი: ე. მუმლაიშვილი, ს. ევლახიშვილი, ივ. ფალიაშვილი, ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, მ. მოლჩანოვი, ე. კაპელნიცკი, გ. რობაქიძე, ვ. სვიმონიშვილი, ი. ზურაბაშვილი, თ. ვახვახიშვილი, კურულოვი, ივ. სარაჯიშვილი.  
[1919 წ.] 18 იანვარი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე, 1 გვ
24. ოპერის სახელმწიფო თეატრის მდივნისა და ბუღალტრის ცნობა ვ. დოლიძისადმი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ჰონორარის გაცემასთან დაკავშირებით.  
[1926 წ.]. 26 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
25. სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული სარეპერტუარო კომისიის ოქმი ვ. დოლიძის ოპერა „ლეილას“ წითელარმიელთა კლუბში დადგმასთან დაკავშირებით.  
პირი: ა. აბაშელი, დ. მეგრელი, შ. აფხაიძე, ს. გედი.  
უთარილო. ნაბეჭდი (დაზიანებული). 1 გვ.
26. სახელმწიფო ოპერის თეატრის გამგის წერილი აკადემიური თეატრების მმართველისადმი, ვ. დოლიძის გამოძახების შესახებ.  
უთარილო. 18 თებერვალი. შტამპი, ნაბეჭდი. 1 გვ.
27. სამუსიკო განყოფილების გამგის ცნობა ვ. დოლიძის შემოსავლების შესახებ.  
უთარილო. ხელნაწერი. 1 გვ.
28. ოპერის თეატრის გამგის მიმართვა ვ. დოლიძისადმი, თეატრში გამოძახებასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ხელნაწერი. წითელი მელანი. 1 გვ.

29. მომღერალ ჭუმბურიძის განცხადება სახელმწიფო ოპერის კომისრისადმი, მასსა და ვ. დოლიძეს შორის მომხდარი უთანხმოების შესახებ.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი 1 გვ.
30. ვ. დოლიძის ოპერა „ცისანას“ დადგმის ხარჯები.  
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

### **შემაჯავებელი მოღვაწეობის ამსახველი მასალა**

31. ვიქტორ დოლიძე – ხევისურის არია ოპერიდან „ლეილა“, ავტორის სამახსოვრო მინაწერით მომღერალ ლეონ ისეცკისადმი.  
1928 წ. 7 ივლისი. ავტოგრაფი. კლავირი. რუსულ ენაზე. ქართული ტექსტი რუსული ანბანით. შავი მელანი. ძლიერ დაზიანებული. 4 გვ. ინახება ოპერის ფონდში (ფ. 97).
32. ვ. დოლიძე – რომანსი „რა კარგი ხარ, რა კარგი!“ ლექსი იოსებ გრიშაშვილისა. ავტორის სამახსოვრო მინაწერით ოლღა ნინუა-ცაგურიასადმი.  
1930 წ. 24 აპრილი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. კლავირი. 5 გვ (ინახება ოპერის ფონდში (ფ. №97)).
33. ვ. დოლიძე – ქეთოს არია ოპერიდან „ქეთო და კოტე“, ავტორის სამახსოვრო მინაწერით ოლღა ნინუასადმი.  
1931 წ. 17 აპრილი. ავტოგრაფი. კლავირი. ქართული ტექსტი რუსული ანბანით. 8 გვ. ინახება ოპერის ფონდში (ფ. №97).
34. ვ. დოლიძე – ანის არია ოპერიდან „ქეთო და კოტე“.  
უთარილო. ხელნაწერი. კლავირი. ქართული ტექსტი რუსული ანბანით. შავი მელანი. 2 გვ (დაზიანებული). ინახება ოპერის ფონდში (ფ. 97).
35. ვ. დოლიძე – ქეთოს რეჟიტატივი და არია, სექსტეტი (I მოქ.), სცენა და რეჟიტატივი, დუეტი და ფინალი (III მოქ.).  
უთარილო. ხელნაწერი. სოლოპარტია. ქართული ტექსტი რუსული შრიფტით. მელანი. წითელი ფანქარი. 7 გვ. ინახება ოპერის ფონდში (ფ. №97).
36. ვ. დოლიძე – ასისა და ლეილას დუეტი ოპერიდან „ლეილა“, ავტორის სამახსოვრო მინაწერით ოლღა ალექსანდროვნა შულგინასადმი.  
უთარილო. ავტოგრაფი. კლავირი. რუსულ ენაზე. შავი და ლურჯი მელანი. 8 გვ. ინახება ოპერის ფონდში (ფ. №97).
37. ვ. დოლიძე – ლეილას, თეიმურაზისა და რევაზის ტრიო ოპერიდან „ლეილა“, ავტორის სამახსოვრო მინაწერით ოლღა შულგინასადმი.  
უთარილო. ავტოგრაფი. კლავირი. რუსულ ენაზე. შავი და ლურჯი მელანი. 14 გვ.

38. ვ. დოლიძე – ძველ. ქართული რომანსი – „შეჩვი“ – ხმისა და ფორტეპიანოსთვის – დუტუ მეგრელის ტექსტზე. „შეჩვი“ – საფორტეპიანო ვერსია, ავტორის სამახსოვრო მინანქრით ოლღა შულგინასადმი.  
უთარილო. ხელნაწერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.
39. ვ. დოლიძე – „ნოქტიურნი“ ფორტეპიანოსთვის.  
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი (დაზიანებული). 2 გვ.
40. ვ. დოლიძე – ლეილას არია ოპერიდან „ლეილა“.  
უთარილო. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. შავი და ლურჯი მელანი. წითელი ფანქარი. 4 გვ.
41. ვ. დოლიძე – რომანსი „Гвоздики с мимозами“ („მიხაკები მიმოზებით“). ტექსტი გიორგი ევანგულოვის. მიძღვნილი ივანე პეტრეს ძე სარაჯიშვილისადმი.  
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 5 გვ. ინახება ოპერის ფონდში (ფ. 97).
42. ვ. დოლიძე – ოპერა „ქეთო და კოტე“ (II და III მოქმედება) გრ. კილაძის რედაქციით.  
უთარილო. ავტოგრაფი. ხელნაწერი. სამუშაო პარტიტურა. ქართულ და რუსულ ენებზე. შავი და ლურჯი მელანი. შავი, ლურჯი, წითელი და მწვანე ფანქარი. 362 გვ. E (ინახება ოპერის ფონდში (ფ. 97)).
43. ვ. დოლიძე – ოპერა „ქეთო და კოტე“.  
უთარილო. ხელნაწერი. კლავირი. ქართულ და რუსულ ენებზე. შავი მელანი. შავი, ლურჯი, წითელი და მწვანე ფანქარი. 302 გვ.
44. ვ. დოლიძე – რომანსები „ახალ სოფელში“ და „სალამო“. ტექსტი მარიჯანის (მარიამ ტყემალაძის). „გლეხების სიმღერა“ – ტექსტი სიო ხიდისთაველის, მიძღვნილი არჩილ ბუთხუზისადმი.  
უთარილო. სტამბური. ნოტების ყდა. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

### ვიქტორ დოლიძის წერილი

45. ვ. დოლიძის წერილი კოტე ფოცხვერაშვილისადმი, ოპერა „ქეთო და კოტეს“ დადგმისა და გამოცემის შესახებ.  
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. 4 გვ.

### პროგრამები

46. სახელმწიფო ოპერის თეატრში დადგმული ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“. საპრემიერო პროგრამა. დამდგმელი რეჟისორი ალექსანდრე წუნუნავა, დირიჟორი ს. სტოლერმანი.  
1919 წ. 11 დეკემბერი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

47. თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში გამართული ვ. დოლიძის ოპერის „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. დამდგმელი რეჟისორი ალ. წუნუნავა, დირიჟორი ა. სტოლერმანი. 1919 წ. 18 დეკემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
48. თბილისის ოპერის თეატრში გამართული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. დამდგმელი რეჟისორი ალ. წუნუნავა, დირიჟორი ა. სტოლერმანი. 1919 წ. 30 დეკემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. 1 ც. არასრული.
49. ოპერის თეატრში გამართული ვიქტორ დოლიძის შემოქმედებითი საღამოს პროგრამა. 1926 წ. 20 იანვარი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
50. სვერდლოვსკის მუსკომედიის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ ილუსტრირებული პროგრამა.  
დამდგმელი რეჟისორი ალექსანდრე წუნუნავა, მხატვარი ლადო გუდიაშვილი. 1939-1940 წწ. სტამბური რუსულ ენაზე. 2 ც.
51. სპენდიაროვის სახელობის სომხეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. 1948-1949 წწ. სტამბური. რუსულ და სომხურ ენებზე. 1 ც.
52. პიატიგორსკის მუსკომედიის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. 1949 წ. 5 ივლისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 2 ც.
53. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. 1949 წ. 13 დეკემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
54. ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. 1950 წ. 20 აპრილი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
55. შ. კურბანოვის სახელობის აზერბაიჯანის მუსკომედიის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. 1973 წ. სტამბური. რუსულ ენაზე. 2 ც.
56. თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. დამდგმელი რეჟისორი ალ. წუნუნავა, დირიჟორი ვ. ფ. მიზანდარი. [1919-1922 წწ.] სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
57. თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. დამდგმელი რეჟისორი ალ. წუნუნავა, დირიჟორი ვ. ფ. მიზანდარი. [1919-1922 წწ.] სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

58. ს. ი. ზიმიანის თავისუფალ ოპერაში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა.  
[1924 წ. იანვარი]. სტამბური. რუსულ ენაზე. 4 ც.
59. ბათუმის რკინიგზის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა.  
12 ივნისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
60. ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამის ყდა.  
უთარილო. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
61. ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამის სატიტულო ფურცელი.  
უთარილო. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
62. სახ. თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა.  
უთარილო. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
63. საქართველოს სახელმწიფო საესტრადო საზაფხულო თეატრში გამართული სტალინგრადის მუსკომედიის თეატრალური დასის მიერ წარმოდგენილი ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ საგასტროლო პროგრამა  
უთარილო. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
64. თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ცისანას“ პროგრამა. დამდგმელი რეჟისორი ალ. წუნუნავა.  
უთარილო. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

### სარეკლამო ფურცლები

65. თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ საინფორმაციო ფურცელი.  
დამდგმელი რეჟისორი ალ. წუნუნავა. დირიჟორი ვ. ფ. მიზანდარი.  
1921 წ. 15 ნოემბერი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
66. თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ საინფორმაციო ფურცელი.  
დამდგმელი რეჟისორი ალ. წუნუნავა. დირიჟორი პ. ფალიაშვილი.  
1922 წ. 11 იანვარი სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.
67. პიატიგორსკის მუსკომედიის თეატრის სარეკლამო ფურცელი – ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პრემიერის შესახებ.  
[1949 წ. 5 ივლისი.] სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

68. ვ. დოლიძე – ძველი ქართული რომანსი „შეეჩვია“. ტექსტი დუტუ მეგრელისა. სარეკლამო ფურცელი.  
უთარილო. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. შავი მელანი. 1 გვ.
69. ალხასას არია ვ. დოლიძის ოპერიდან „ზამირა“ (სატიტულო ფურცელი).  
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. შავი მელანი. 1 გვ.

### ლია ბარათი

70. ვიქტორ დოლიძის ღია ბარათი (ლოთოგრაფია), ვ. დოლიძისვე მინაწერით.  
უთარილო. ფრანგულ ენაზე. 1 ც.

### დეპეშა

71. კოტე სააკოვის მისალოცი დეპეშა ალექსანდრე წუნუნავასადმი, ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ წარმატებით დადგმასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ერევანი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

### პრესიდან ამონარიდები

72. ვ. დოლიძის შემოქმედების შესახებ.  
„Зрелища“, №60 – 1923 წ.; „Рампа“, №№ 2-25 1923 წ., №№ 7-20 – 1924; „Зрелища“, N74 – 1924 წ.  
1923-1924 წწ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.
73. „Вечерняя Москва“: დავით გამრეკელი მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკისა და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში დადგმული „ქეთო და კოტეს“ შესახებ.  
1950 წ. 20 მაისი. ნაბეჭდი. 3 გვ.
74. „Советское искусство“: ე. გროშევას „სიცოცხლით სავსე ოპერა“ (ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ შესახებ).  
1950 წ. 29 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
75. „Советское искусство“, №88: ტ. ლეონტოვსკაია – „მნიშვნელოვანი ინიციატივა“ (ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ შესახებ).  
1950 წ. 16 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.
76. „Вечерняя Москва“ – მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკისა და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ მეასე სპექტაკლის შესახებ.  
1951 წ. 5 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

77. ამონარიდი გაზეთებიდან, ფოტო, თბილისის ოპერის თეატრში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ პროგრამა. დამდგმელი რეჟისორი ალ. წუნუნავა, დირიჟორი ვ. ფ. მიზანდარი (აპლიკაცია).  
[1919-1922 წწ.] სტამბური. რუსულ ენაზე. 2 გვ.
78. ამონარიდი გაზეთებიდან – ს. ი. ზიმინის თავისუფალ ოპერაში დადგმული ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ შესახებ.  
[1924 წ.] 19-25 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

### **ვიქტორ დოლიძის ოპერებისა და სხვადასხვა ღონისძიების შესახებ**

79. სეზმან ერთწმინდელის განცხადება ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორისადმი, ვ. დოლიძის ოპერა „ცისანას“ ჰონორარისა და ლიბრეტოს გადაკეთების შესახებ. განცხადებას ერთვის ხელოვნებისა და ლიტერატურული სექტორის გამგის მიმართვა ოპერის თეატრის დირექციისადმი.  
პირი: ვ. დოლიძე, ალ. წუნუნავა, კ. ჩხარტიშვილი, სანდრო ორაგველიძე, გიორგი მდივანი.  
1931 წ. 18-28 აპრილი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. შტამპი. წითელი მელანი. 3 გვ.
80. ალ. წუნუნავას სიტყვა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ პირველი დადგმიდან 30 წლის-თავისადმი მიძღვნილ საღამოზე.  
1949 წ. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.
81. პრალის მუსიკალური ხელოვნების აკადემიის პროფესორის, მუსკომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ირჟი ფრეიკას ოფიციალური წერილი ქართული მუსკომედიის თეატრისადმი, პრალაში ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“ დადგმასთან დაკავშირებით.  
1951 წ. 23 ნოემბერი. პრალა. ნაბეჭდი. შტამპი. რუსულ და ჩეხურ ენებზე. 1 გვ.
82. თბილისის სახელმწიფო ოპერის დირექტორის, კომპოზიტორისა და სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის შალვა მშველიძის საპასუხო წერილი პრალის მუსიკალური აკადემიის პროფესორის, მუსკომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ირჟი ფრეიკასადმი, ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ მასალების გაგზავნასთან დაკავშირებით.  
პირი: ალ. წუნუნავა, დ. ჯავრიშვილი, ვ. მურადელი.  
1952 წ. 25 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ. 2 ეგზ.
83. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ჭითანავას განკარგულება ვ. დოლიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით (ერთვის ხარჯთაღრიცხვა და კომისიის წევრთა სია).  
1989 წ. 5 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რეზოლუციებით. 6 გვ.

84. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ჭითანავას ბრძანება ვ. დოლიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით (ერთვის საორგანიზაციო კომისიის წევრთა სია).  
1990 წ. 20 თებერვალი. ნაბეჭდი ბლანკი. ბეჭედდასმული. რეზოლუციებით. 4 გვ.
85. თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის საოპერო-სიმფონიური სექციის თავმჯდომარის სულხან ნასიძის განცხადება საქართველოს კულტურის სამინისტროსადმი, ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ ახალი რედაქციის შესახებ (ს. ნასიძისვე ხელმოწერით).  
პირი: ალ. შავერზაშვილი.  
1990 წ. 28 თებერვალი. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 გვ.
86. საქართველოს მუსიკონდის დირექტორის ჯ. პატიაშვილის ოფიციალური წერილი საქართველოს კულტურის მინისტრის ვ. ასათიანისადმი, ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ კლავირის გამოცემის ხარჯთაღრიცხვის შესახებ.  
1990 წ. 15 მარტი. ნაბეჭდი. ბლანკი. 2 გვ.
87. საქართველოს კულტურის მინისტრის ვ. ასათიანის ბრძანება ვ. დოლიძის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით (ერთვის ხარჯთაღრიცხვა).  
პირი: ა. დვალიშვილი, ნ. მაღაზონია, ს. ვადაჭკორია, ლ. სეხნიაშვილი, ს. ცინცაძე, ნ. ჯაში, ა. გოგელია, ე. კანდელაკი, რ. ამაშუკელი, ზ. გველესიანი, ე. ამაშუკელი, ლ. გაგუა, ჯ. ბერაძე, პ. ბურჭულაძე, ბუაჩიძე, ი. გამრეკელი.  
1990 წ. 26 აპრილი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 5 გვ.
88. საქართველოს დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია „მემატიანის“ დირექტორ მიხეილ სალუქვაძესა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროს ვაჟა ბრეგაძეს შორის დადებული ხელშეკრულება, დოკუმენტური ფილმის „ვიქტორ დოლიძის“ გადაღების შესახებ.  
1990 წ. 12 ივლისი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. 1 ც.
89. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილის რ. ამაშუკელის ოფიციალური წერილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვაჟა ლორთქიფანიძისადმი, ვიქტორ დოლიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებებისთვის სტატიების, შრომებისა და სარეკლამო მასალის დასაბეჭდად საჭირო ქაღალდის გამოყოფის შესახებ (ერთვის რ. ამაშუკელის ხელმოწერა).  
1990 წ. 23 ივლისი. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 გვ.
90. ზურაბ ჭუბაბრია – „ვიქტორ დოლიძე“, დოკუმენტური ფილმის ლიტერატურული სცენარი.  
1990 წ. 4 სექტემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რეზოლუციებით. 7 გვ.

91. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თ. სიგუას განკარგულება თბილისში ვ. დოლიძის ბიუსტის დადგმასთან დაკავშირებით.  
1990 წ. 13 დეკემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
92. საქართველოს კულტურის მინისტრის ნ. წულუკისკირის ოფიციალური წერილი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თ. სიგუასადმი, ვ. დოლიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად თბილისში ბიუსტის დადგმასთან დაკავშირებით.  
პირი: ოთარ ლითანიშვილი, გიორგი შხვაცხაია.  
1990 წ. 18 დეკემბერი. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 გვ.
93. საქართველოს კულტურის მინისტრის ნ. წულუკისკირის ბრძანება ვ. დოლიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობ საორგანიზაციო კომისიაში ცვლილებების შეტანის შესახებ (ერთვის კომისიის წევრთა სია).  
1990 წ. დეკემბერი. ნაბეჭდი ბლანკი. 2 გვ. 2 ეგზ.
94. საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსს ვაჟა ბრეგაძესა და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანის“ დირექტორ მიხეილ სალუქვაძეს შორის დადებული ტიპური ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტი – დოკუმენტური ფილმის „ვიქტორ დოლიძის“ შესახებ (ერთვის ფილმის ხარჯთაღრიცხვა).  
1991 წ. 26 ივნისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელმოწერით. 1 გვ.
95. სახალხო განათლების კომისრის ბრძანება ალ. წუნუნავასადმი, ვ. დოლიძის ოპერა „ცისანას“ დადგმასთან დაკავშირებით.  
23 იანვარი. ავტოგრაფი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
96. უცნობი პირის მისალოცი წერილი კონსტანტინ სააკოვისადმი, ერევანში „ქეთო და კოტეს“ მე-100 წარმოდგენასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. 1 გვ.
97. სახელმწიფო ოპერის თეატრის მდივნის მიმართვა დადგმისადმი, მომღერლების ივ. სარაჯიშვილის, ს. ინაშვილისა და ბოხოვის ოპერა „ლეილაში“ დაკავების შესახებ.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.
98. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რეჟისორ ივანე (კუკური) პატარიძის მოხსენებითი ბარათი თეატრის დირექტორის ა. ჭყონიასადმი, ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ ახალი გაფორმების შესახებ.  
პირი: გრიგოლ კილაძე, შალვა აზმაიფარაშვილი, იოსებ გრიშაშვილი.  
უთარილო. ნაბეჭდი. 11 გვ.

## სსპადასსპა

99. მ. ო. შტიმანი – „სამგლოვიარო მარში“ ვ. ი. ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ავტორისეული სამახსოვრო მინაწერით ვიქტორ დოლიძისადმი.  
1924 წ. 10 მარტი. კლავირი. სტამბური. რუსულ ენაზე. 8 გვ.
100. მუშათა თეატრის ქართული დასის მიერ გაცემული ნინო დოლიძის (ვიქტორ დოლიძის და) მსახიობის მოწმობა.  
1927 წ. სტამბური. 1 ც.
101. მსახიობ ნინო დოლიძის წერილი დირიჟორის ფრაკის შესახებ – „ეს ვის სჭირდება?“  
1930 წ. 3 სექტემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 5 გვ.
102. ბერტა არკადის ასული დოლიძის (ვიქტორ დოლიძის ქვრივი) განცხადება თეატრის დირექტორისადმი, მისთვის პენსიის დანაშვნის შესახებ.  
1963 წ. 20 სექტემბერი. კიევი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
103. ბერტა არკადის ასულ დოლიძის განცხადება მუზეუმის დირექტორისადმი, მისთვის ცნობა-დახასიათების გაგზავნასთან დაკავშირებით.  
1963 წ. 15 დეკემბერი. კიევი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.